სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/38

ქ. თბილისი 24 მარტი 2026 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და გაცემის წესის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის შინაგანაწესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის, ქეთევან ქუთათელაძის 2026 წლის სამსახურებრივი ბარათის, (ენერგეტიკის ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 19 მარტის სხდომის №8 ოქმის) და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის წინადადება - ენერგეტიკის ფაკულტეტზე ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის გამოჩენილი მეცნიერ-ენერგეტიკოსების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორების, ალექსანდრე დიდებულიძისა და ვახტანგ გომელაურის სახელობითი სტიპენდიების შემოღებისა და გაცემის წესის თაობაზე.
2. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**